ლეონიდე ოქროპირიძე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

როგორც აჭარაში ისე მთელ საქართველოში დიდათ საჭირო არიან მისსიონერები

(წყარო: „შინაური საქმეები“ – 1915. – N14-19)

ელწიგნი შეადგინა და გამოსცა საქართველოს საპატრიაროქოს ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფმა კონსტანტინე ალიბეგაშვილმა

და

ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ

ლეონიდე ოქროპირიძის საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებიდან

100 წლისთავს

თბილისი

„სიგნის სავანე“

2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ლეონიდე ოქროპირიძე

1918-1921

წინდაწინვე წარმოდგენილი მაქვს, რომ ამ ჩემი წერილის სათაური ფეთებას დამართებს და ყურებში საზარელ წივილებს აუტეხავს ქართულ საერო ჟურნალ-გაზეთების ზოგიერთს თანამშრომლებს. „უჰ, ხომ არ გადარეულხარ, კაცო, მისსიონერი აჭარაში? ეს ხომ ნამდვილი საშინელებაა, ეს ხომ უკუღმა ფარცხვაა დღევანდლამდე წაღმა ნახნავისა, ეს ხომ აჭარლებსა და ჩვენს შორის მტრობა-განხეთქილებას ჩამოაგდებს, ეს ხომ ქართველი ერის მთლიანობისთვის ძირის გამოთხრაა, ეს ხომ...“ ვინ იცის, რას არ იტყვიან და რას არ წარმოიდგენენ ასეთი საშიშროების გაგონებით გულებ გადმობრუნებული ჩვენი დროის ზოგიერთი კალმოსნები, რომლებსაც, რიღასთვინაც, თავიანთი თავი წარმოუდგენიათ ქართველი ერის მესსიებად! სიტყვა **მისსიონერი** ნამდვილი საფრთხობელა ყოფილა ჩვენებური საერო ჟურნალ-გაზეთებისათვის. ამ ზაფხულს ვიღაცა მოცლილმა და ზერელე მეთვალყურემ „თანამედროვე აზრში“ გამოახოხორიკა მთლად სიყალბეზე და სიცრუეზე აშენებული წერილი ჩემგან აჭარაში დროებით გაგზავნილი მღვდლის სამისსიონერო მოქმედების შესახებ და ასეთი უმნიშვნელო ასანთის მოუფიქრებელი გადასროლა საკმაო გამოდგა, ქართული პერიოდული გამოცემების კაბადონებზე გაჩაღებულიყო გაუქრობელი ჭიაკოკონა ყბა დაღებული მისსიონერის ჩასაწვავ-ჩასახრუკად. „თანამედროვე აზრი,“ „სახალხო ფურცელი,“ „საქართველო,“ „სამშობლო,“ „თეატრი და ცხოვრება“ ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ-არა მე გადავარჩინო აჭარა მისსიონერსა, არა მეო და ამით დავიდგა უკვდავების გვირგვინიო.

საერო პირებზე რაღა სამდურავი გვეთქმის, როდესაც მისსიონერობა ზოგიერთ სულიერი მამების რწმენით მოსარიდი და საშიშარი საქმე ყოფილა! უაღრესობამდე მამულიშვილობის სიყვარულით აღვსილი სოფელ კორბოულის მოძღვარი ვლადიმერ მაჭარაშვილი ერთ თავის წერილში ასეთ ობოლ მარგალიტებს აბნევს მისსიონერობის შესახებ: „არამცა და არამც კრინტი ხმა არ უნდა იქმნას დაძრული ჩვენი ძმების-მაჰმადიანების ქრისტეს მოძღვრებაზედ დაბრუნებაზე, ამ სიტყვების ფართო მნიშვნელობით...“ „არც ერთმა ქართველმა სამღვდელო პირმა არ უნდა გაბედოს მაჰმადიან ქართველებში სამისსიონერო აზრით წასვლა,“ და სხვ. ვაშა, მოძღვარო! ნეტარება შენ, ივერიის სამოციქულო ეკლესიავ, ესოდენ განბრძნობილი მამების სამსახურით გაბრწყინვებულო!

ბატონებო, აჭარაში მღვდელი-მისსიონერი გუშინ არ დანიშნულა! მისსიონერის თანამდებობა დაარსებულია აჭარაში 1901 წლიდან. პირველი მისსიონერი იყო მღვდელი ანტონ ფირცხალავა, მეორე ლუკა ხუნდაძე და მესამე აწ ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი გაბრიელი (აბაშიძე). თუ მისსიონერობა მართლა საშიშროებას წარმოადგენს აჭარისთვის, აქამდინ სად ეძინათ აჭარლების მეგობრებს? რატომ დასაწყისშივე არ მოსპო ეს

საშიშროება ჩვენმა პრესამ? რატომ დღევანდლამდე არაფერი საძრახისი არა გამოუთქვამს რა ქართულ ბეჭდვით სიტყვას ზემოთ ნაჩვენები მისსიონერების მოქმედებაზე?

- დრო და გარემოება ხელს არ უწყობდა საამისოდ ჟურნალ-გაზეთებსო, იფიქრებს ვინმე. ეხლა ხომ თავისუფლად მსჯელობენ აღებული საგნის შესახებ, ეხლა ხომ ზემოთ ნაჩვენებ მისსიონერებს აღარავითარი დამოკიდებულება აღარ აქვთ აჭარლებთან, მაშასადამე, ეხლა ხომ შასაძლოა სრული გაბედულობით გამომზეურება მათი დანაშაულობისა: აბა, თვით აჭარლებმა წარმოადგინონ, რა ზიანი მიაყენეს ქართველი ერის მთლიანობას თავიანთი მისსიონერობით ფირცხალავამ და აბაშიძემ?

არა, საგმობი კი არა, სასიქადულოა ამ პირების ღვაწლი აჭარაში. მათ მოქმედებას თვალსაჩინო დადებითი ხასიათი აქვს; ჩემი რწმენით, აჭარლების დღევანდელი გულის მობრუნება ქრისტიანი ქართველებისკენ რამდენადმე ყოფილი მისსიონერების კეთილი გავლენის შედეგიც არის. ქრისტიანული მისსიონერი იმდენადვეა საჭირო აჭარლებისთვის, რამდენადაც ხერხემლის ძვალი კაცის სხეულის მოქმედება-მოძრაობათა ნორმალობისთვის. საშვილიშვილო დანაშაულობას სჩადიან ყველანი, ვინც წინააღმდეგობას უწევენ და ხელს უშლიან აჭარაში მისსიონერთა მოქმედებას.[1] ხმა მაღლათ ვაღიარებ, რომ ყველა ის, რაც დღევანდლამდე დაიწერა და გამოითქვა ქართულ გამოცემებში საწინააღმდეგოდ აჭარაში მისსიონერის დანიშვნისა, ჩამოურეცხელ ლაქად დარჩება მწერლობაში საჩვენებლად დღევანდელი ჩვენი ინტელიგენციის გონებრივი უმწიფობა-სიძაბუნისა.

ჩვენებური საერო გამოცემების შეხედულობით მისსიონერია ის, ვინც სხვა რჯულის მიმდევრებს ნათლავს მართლმადიდებელი ეკლესიის წესით. ნათლისღების შესრულება - აი, საერო პრესის რწმენით, თავი და ბოლო, სიგრძე და სიგანე, მთავარი ძარღვი მისსიონერის დანიშნულებისა, მისსიონერის მოქმედებისა, მისსიონერის მოვალეობისა. მაგრამ პავლე მოციქულზე უდიდესს და უწარჩინებულეს მისსიონერს ხომ არ იცნობს კაცობრიობა და აი რას სწერს ეს უაღრესი მისსიონერი თავის შესახებ: „არა მომავლინა მე ქრისტემან ნათლისცემად, არამედ სახარებლად.“ (1-კორინთ. 1,17) ხსენებულ მოციქულს, როგორც ვხედავთ, დავალებაც კი არ ჰქონია ქრისტესგან ვისიმეს მონათვლა და, მიუხედავად ამისა, იგი მაინც უდიდეს მისსიონერადაა აღიარებული განათლებული კაცობრიობისაგან. ცხადია, მონათვლა არ შეადგენს მისსიონერობის არსებით მხარეს.

ქრისტიანული მისსიონერი ეწოდება იმ პირს, რომელიც მსგავსად სუნნელოვანი ვარდისა, სრულებით ბუნებრივად გამოსცემს თავისი სიტყვით, მოქმედებით, მიმართულებით და ხასიათით ვარდის სუნივით საამო და

[1] პატივცემული ედილისაგან ქართულ გაზეთებში ნათლად გამოთქმულ შეხედულობაზე საინგილოს მისსიონერების მოქმედებათა შესახებ ბაასი გვექნება ამავე წერილის ბოლო განყოფილებაში.

ქრისტიანული ცხოვრებისადმი მიმზიდველ შუქს, რომელსაც ხალხში შეაქვს იერი იესო ქრისტეს მოძღვრებისა, იმგვარივე ბუნებრიობით, როგორითაც ჩვენს საცხოვრებელ სახლებში შემოდგება ხოლმე მზის შუქი, რომელიც საკუთარი მაგალითის საშუალებით თავის მეზობელთა შორის ჰბადებს ისეთ მიმართულებას, რომ მათი ცხოვრება და მოქალაქობა ღებულობს ქრისტიანული ლმობიერებისა და მაღალი ზნეობის ხასიათს.

დამახასიათებელი თვისება მისსიონერის მოქმედებისა ისაა, რომ იგი არ არის აღჭურვილი გარეგნული ძლიერებით, იგი არ არის წარმომადგენელი ან აგენტი უფლებამოსილი ადმინისტრაციისა. მისი ერთადერთი იარაღია, მოყვასთადმი უსაზღვრო სიყვარული, დაუშრეტელი სურვილი მოყვასთადმი ბედნიერობის მოტანისა და, რადგანაც, მისი რწმენით, ღვთის ცოდნაზე და ღვთის საამოდ ცხოვრებაზე უდიდესი სიკეთე წარმოუდგენელია, მსხვერპლად ეწირება ამ სიკეთის შეტანის საქმეს ერის ცხოვრებაში, ამას ისახავს თავისი სიცოცხლის მთავარ საგნად და გარეშე ვითარიმე სახის ძალდატანებისა, გარეშე რაიმე იძულებისა, გარეშე შევიწროებისა და ვისთვისმე უსიამოვნების მიყენებისა, მუდამ და ყოველგან ჰქადაგებს ღვთის მოძღვრებას და ღვთის სათნოდ ცხოვრების სიდიადეს. მისსიონერი მხოლოდ სთესავს სიკეთის თესლს, მისსიონერი მხოლოდ უჩვენებს სხვებს ხელში კანდელით სწორე გზას, მისსიონერი მხოლოდ უანგარო და გულშემატკივარი მრჩეველია ერისა და არა ამ რჩევის ვისთვისმე თავზე მომხვევი წინააღმდეგ სურვილისა, იძულებით, ძალმომრეობით, სიცრუე-ვერაგობით, უხეში და შეუწყნარებელი ზომების ხმარებით.

ამასთან, როდესაც მისსიონერი მოქმედებს თავის თანამემამულეთა შორის, თავისი მოდგმისა, თავისი სისხლისა და ხორცის ერში, მისი ერისადმი სიყვარული და თავდადებულობა უფრო ღრმავდება და ორკეცდება, იგი მტლედ ედება ამ ერის გამოღვიძებას, წინსვლას, განვითარებას და ყოველმხრივ გაუმჯობესებას, მაშინ მისსიონერი იმითიღა სუნთქავს, რომ ჩამორჩომილი ნაწილი თავისი ერისა, ესე იგი ისინი, რომლებიც სდგანან გარეშე ქრისტეს მოძღვრების გავლენისა, შეუერთოს, შეათვისოს, შეაქსოვოს, შეაკონოს და შეადუღაბ-კოწიწოს ქრისტეს მოძღვრების მიმდევარ ძმებთან ერთად განუყრელი მეზობლობის კავშირის გასკვნით და მათ შორის არსებული სისხლ-ხორციანი ნათესაობის გაშუქებით.

ასეთ შემთხვევაში მისსიონერი ვეღარ კმაყოფილდება მხოლოდ სახარების ქადაგებით. მისი ბუნების მოთხოვნილებად ხდება მოსაქცევ ძმათა შორის მშობლიო ერის მწიგნობრობისა, მშობლიო ერის წარსულისა და აწმყოს ცოდნის მოფენა, დანერგვა და გავრცელება მათ შორის ნაციონალური ჩაცმა-დახურვისა, ზნე-ჩვეულებათა, მოლხენა სიმღერისა, გართობა-გლოვისა, ხელოვნება-მუშაობისა, მრეწველობა-მეურნეობისა, ვაჭრობისა და ოჯახობისა, რომ ყველა ამეების საშუალებით მოსაქცევი ძმები ჩაყენებულ იქმნენ ქრისტეან

ძმების საერთო ცხოვრების კალაპოტში, მოსაქცევი ძმების ცხოვრებიდან აღმოფხვრილ იქმნას უცხო ერთა არასასურველი გავლენა-ზემოქმედება, მოსაქცევმა ძმებმა დაინახონ მთელი თავიანთი სულიერი და ხორციელი მსგავსება და იგივეობა ქრისტიან ძმებთან ერთად, იგრძნონ და გამოსცადონ, რომ იგინი შვილები არიან ერთი და იმავე დედისა.

ბედნიერია კუთხე, რომელსაც განგება უგზავნის ასეთ მისსიონერებს. საქები, სადიდებელი, საშვილიშვილო და საამაყოა ამგვარი მისსიონერების შრომა-მოღვაწეობა. ეს ღვთისაგან ნაკურთხი პირები საკუთარი ძარღვებით აერთებენ და განუშორებლად აკავშირებენ ერთმანეთს უბედური ისტორიული პირობების გამო გაბნეულ, დაქსაქსულ, დაშორებულ და გადაგვარების კვალზე დამდგარ ერთი და იმავე ერის ნაწილებს, ერთი და იმავე ერის შვილებს.

II

ნათქვამით მე საზოგადო და დაზეპირებულ აზრებს არ ვიმეორებ; ჩემ სიტყვებში წიგნებიდან ამოკითხული არა არის რა და არავის გაკვეთილს არ ვუკითხავ მისსიონერობის მნიშვნელობის შესახებ. აღვნიშნავ მხოლოდ მას, რასაც ჩემი საკუთარი თვალებით ვხედავ ჩემი ეპარქიის ქართველ მაჰმადიანთა შორის მოღვაწე ქართველი მისსიონერების მოქმედებებში.

ოცდაოთხი წელიწადია, რაც ერთი ამგვარი მისსიონერი მღვდელი მოღვაწეობს ქობულეთში. ფართო საზოგადოება და ჩვენი გაზეთები არ იცნობენ ამ მყუდრო და კდემამოსილ მუშაკს; იგი თბილისიდან და ქუთაისიდან მოსულ საზოგადო მოღვაწეებს არ ეგებება ხოლმე პრტყელ-პრტყელი ფრაზებით ქართველი ერის მთლიანობისა, ქართული ტერიტორიის აღდგენისა, მშობლიო ერის ეკონომიური კეთილდღეობისა და მისთანეების შესახებ, მაგრამ დღემუდამ თავაუღებელად ეწევა ქობულეთში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანთა განათლებისა და განვითარების მძიმე უღელს. ამ უჩინარი კაცის სახელი დიდი პატივისცემით იხსენიება ქობულეთელ ქართველ მაჰმადიანთა შორის, მის ოჯახში მისვლა ადგილობრივ მაჰმადიანებს გულითადი მოკეთის ოჯახში ყოფნად მიაჩნიათ, მასთან, ვით მშობელ მამასთან, რიდეახდილად ლაპარაკობენ მაჰმადიანთა ქართველი ქალები, იგი არა იშვიათადაა ხოლმე მიწვეული ჯამეში რჩევა-დარიგების დასაკითხად, იშვიათად მოხდება, რომ ქართველმა მაჰმადიანმა ან ვაჟიშვილი დააქორწილოს, ან ქალიშვილი გაათხოვოს და ამ პატივცემულ მოძღვარს არ დაალოცვინოს მათი თავი; ამ მღვდლის გავლენა იყო, რომ 1912 წელს ქობულეთელმა ქართველმა მაჰმადიანებმა თვითონ მთხოვეს ქობულეთში ქართული სამკითხველოს გახსნა, რომელშიაც ასე გულსმოდგინეთ დაიარებიან იგინი და ყოველდღე გატაცებით უსმენენ ხან ამ მღვდლის და ხან მის ღირსეულ მედავითნეს ქართული გაზეთების კითხვას; ამ მღვდლისა და

მედავითნის კეთილი გავლენის გამო მოითხოვეს ქობულეთის ნაწილის ქართველმა მაჰმადიანებმა სასოფლო სასწავლებლებში დედა ენის სწავლების შემოღება, ამ მღვდლის ხელის შეწყობითაა, რომ დღეს ორ ქართულ გიმნაზიაში იზრდება ოთხი მაჰმადიანი ბავშვი ქობულეთიდან და სხვ. ქებითა და პატივისცემით მოსახსენებელია აგრეთვე ფირცხალავასი და აბაშიძის მოქმედება სოფელ ხულოში. ხსენებულმა მისსიონერებმა, შემდეგ პატივცემული საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძისა, პირველად გაავლეს აჭარის ყამირზე ქართველობის კვალი და გაავლეს წაღმა. მადლიანად, ღვთისა და კაცთა საამოდ. ამ მისსიონერებს, მსგავსად ქობულეთელი მოძღვრისა, არავინ მოუნათლავთ აჭარაში, მაგრამ მათ დაუდუმებელ ქადაგებას ქრისტეს პიროვნების, ქართული მწიგნობრობის და ქრისტიან ქართველებთან მჭიდრო კავშირის დაჭერის თაობაზე უშედეგოდ არ ჩაუვლია; ამ კეთილ ქადაგებას ფესვები გაუდგამს აჭარლების გულში და დღეს საამო ჯეჯილად არის გადამწვანებული. ხსენებული მისსიონერების გავლენის შედეგია, რომ მდგომარე წლის ენკენისთვის სამს მე მქონდა ბედნიერება მიმეღო ჩემს ბინაზე ქ. ფოთში ხულოდამ ჩამოსული ქართველი მოლლა, რომელმაც დაახლოებით შემდეგი სიტყვებით მომმართა: „ხულოელ ქართველ მაჰმადიანებს გაგებული გვაქვს, რომ თქვენ სწყალობთ ქობულეთელ მაჰმადიანებს, ქობულეთში ავრცელებთ ქართულ მწიგნობრიობას, ხელს უწყობთ სასწავლებლის გახსნას და ეხმარებით იქაურ ჩვენს ძმებს მათი შვილების სწავლა-აღზრდაში. ჩვენც ქობულეთლების ძმები და მეზობლები ვართ, ჩვენც მათი სარწმუნოების მიმდევარნი და მათი ენით მოუბარნი ვართ, ვფიქრობდით, რომ აჭარაშიაც მობრძანდებოდით, აჭარლებსაც გაგვაგონებდით თქვენს ძმურ სიტყვას, ჩვენც გვიწინამძღოლებდით ჩვენი შვილების სწავლა-განათლების საქმეში; დავიღალენით ამდენს ხანს თქვენი გზისაკენ მზერით და აი ახლა პირადად ჩამოვედი თქვენთან სათხოვნელად, რომ ხულოში მობრძანდეთ და ქობულეთლებივით დაგვიახლოვოთო...“

როგორც ხედავთ, გურია-სამეგრელოს ეპარქიის ქართველ მაჰმადიანებს არც ისე სძულებიათ მისსიონერები, როგორც ამას დაჟინებით ამტკიცებენ ქართული საერო გაზეთები. მოყვანილი ფაქტები ჩვენ ისე არ გვესმის, რომ მისსიონერებსა და ქართველ მაჰმადიანთა შორის მტრული განწყობილება სუფევდეს, რომ მისსიონერობა აფრთხობდეს ქართველ მაჰმადიანებს, მისსიონერობა ძირს უთხრიდეს ქართველი ერის მთლიანობას და თუ ეს ნამდვილად ასე არ არის, თუ აჭარა-ქობულეთში მისსიონერები მართლა არასასურველ სამსახურს უწევენ ქართველ ერს, ვთხოვ ქართულ საერო გაზეთებს გამოაქვეყნონ ამისი უტყუარი საბუთები. მაშინ ბოდიშს მოვიხდით მათ წინაშე და საუყონებლივ მოვსპობთ ხსენებულ რაიონში მისსიონერულ მოქმედებას.

დღეს საწყენად და სათაკილოდ მრჩება ის გარემოება, რომ თავიანთი წინდაუხედავი გამოსვლით ქართული გაზეთები შეურაცხებას აყენებენ ქართველ მაჰმადიანებს. ჩვენებურ გაზეთებს აჭარლები წარმოუდგენიათ უსუსურ, უმწეო, უძლურ, ბეჩავ, უენო და უგონო ბაღანად, რომელიც თავისით ცხვირსაც ვერ მოიხოცავს, მგელმა რომ მოიტაცოს, ხელის გაქნევასაც ვერ მოიფიქრებს. დასავლეთ საქართველოს ქართველ მაჰმადიანთა შორის, არა ერთი და ორი განვითარებული და ქართული წერა-კითხვის საკმაოდ მცოდნე პირი მოიპოვება.

ასეთები თუგინდაც რომ სრულებით სახეში არ მივიღოთ, შეუძლებელია ამ შემთხვევაში გვერდი აუქციოთ და ანგარიში არ გაუწიოთ ისეთი ფხიზელი ბუნებისა და მოძმეთა მდგომარეობით დაინტერესებულ პიროვნებას, როგორიც არის ბათუმში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანი ჰაიდარ ბეგი აბაშიძე. მისსიონერების მოქმედება, რომ ისეთი დასაგმობი, მავნე და აუტანელი ყოფილიყო აჭარლებისთვის, როგორც ამას ქართული გაზეთები ხატავენ, ყველაზე უწინ ამას გაიგებდა და იგრძნობდა ქართველი მაჰმადიანების სულიერი ინტერესების სასიქადულო დარაჯი ბატონი ჰაიდარ ბეგი, რომელიც მე სრულებით არ წარმომიდგენია იმდენად გაუბედავ მოქალაქედ, რომ ვისიმეს შიშისა და მორიდების გამოისობით არ ახმაურებულიყო ამაზე ადგილობრივ პრესაში.

ჩვენ შეგვეძლო წერტილი დაგვესვა და აქ დაგვთავებინა წერილი, რადგანაც სადაო საკითხი, ჩვენი შეხედულებით, საკმაოდ გაშუქდა და გაირკვა, რადგანაც ქართული საერო გაზეთებისაგან გამოთქმულ ყალბ აზრს აჭარაში მისსიონერობის მავნებლობის შესახებ აბათილებენ და აქარწყლებენ რეალური ფაქტები. მაგრამ ვინაიდან, აჭარაში მისსიონერის დანიშვნის ისტორია საზოგადო მნიშვნელობას არ არის მოკლებული, უადგილო არ იქნება ცოტა რამ ამ ისტორიიდან ემცნოს საზოგადოებას.

III

თბილისის ეპარქიის ყოფილმა მისსიონერმა პლატონოვმა და ერთმა უფლება-მოსილმა სასულიერო პირმა სწორი ალღო აუღეს დასავლეთ საქართველოში ქართველ მაჰმადიანთა შორის მოქმედ მისსიონერთა საქმეს. პლატონოვი და მისი მომხრე მიხვდნენ, რომ ქართველი მისსიონერები აჭარა-ქობულეთში ამზადებენ დიდი ღირებულების საქმის ნიადაგს, საძირკველს უდგამენ ქართველ მაჰმადიანთა გონებრივად გამოღვიძებას და რადგანაც პლატონოვიცა და მისი სულის ჩამდგმელიც გაჟღენთილები იყვნენ ქართველთადმი სიძულვილით, გადაწყვიტეს დასავლეთ საქართველოში მაჰმადიანთა შორის მისსიონერების ხსენების მოსპობა. წადილის განსახორციელებლად მათ აამოძრავეს, როგორც ქობულეთისა, ისე ხულოს

მისსიონერის წინააღმდეგ, საზოგადოების ნაძირალები. უკანასკნელებმა გააცხადეს - ქობულეთის მოძღვარი, როგორც ქართველი, ბუნებითი რუსის კილოთი და გამოთქმით ვერ გვისრულებს წირვა-ლოცვას, ჩვენი სული და გული ვერ შერიგებია ამ გარემოებას და ამიტომ ქობულეთში მცხოვრები რუსები მოვითხოვთ, რომ ქართველის ნაცვლად რუსი მოგვეცეს მღვდლადო. ხულოს მისსიონერს კიდევ ის ნაკლულოვანება შესწამეს, რომ ბერძნული არ იცის და ხულოში კი სულ ბერძნები ცხოვრობენო. თბილისიდან წინადადება მომცეს ორჯერ, ქობულეთის მღვდლისათვის მომეთხოვა თანაშემწე. ქობულეთის მრევლი შესდგება სულ ოცდაათი კომლისაგან, არავითარი საჭიროება არ მოითხოვს მეორე მღვდლის დანიშვნას, ამიტომ თბილისიდან გამოგზავნილი ბრძანება არ მოვიყვანე სისრულეში. ქართველი მისსიონერების მოძულეებმა ამის შემდეგ სულ ახალი გზა აირჩიეს თავიანთი საწადელის მისაღწევად. რაღაცა მანქანებით ხულოს მრევლი სრულებით ჩამოაშორეს გურია-სამეგრელოს ეპარქიის ტერიტორიას და მიაწერეს თფილისისას, რომ ეპარქიის უფროსს შეძლება მისცემოდა ჩემდა დაუკითხავად მღვდლის გამწესება-დათხოვისა ხულოს მრევლში. მართლა-და გამოყვეს თუ არა ხსენებული მრევლი გურია-სამეგრელოს ეპარქიის შემადგენლობიდან, მაშინვე გაგზავნეს იქ ისეთი მღვდელი, რომელმაც არც ენა იცის ხულოს მცხოვრებლებისა და არც მათი ზნე-ჩვეულებანი, არც განათლება შესწევს და არც გული შესტკივა აჭარლებზე. რასაკვირველია, ასეთი უსამართლო მოქმედება გავასაჩივრე სადაც ჯერ იყო და აი, ეხლა, საქმე რომ სასიკეთოდ უნდა გამობრუნდეს, ხელ-ახლა წამოყვეს ნაძირალებმა თავები და ღობეს უკან ამოფარებულები გველებივით სისინებენ. ხულოში ქართველი მღვდლის გამწესებას, რომ უცხოელები ებრძვიან და არა ქართველი მაჰმადიანები, მაშასადამე, მისსიონერის დანიშვნის საწინააღმდეგო ამხედრებით ქართული გაზეთები, რომ მხარს უჭერენ აჭარლების სისხლის მსმელ მტრებს, იმათ - რომლებიც დღეს მთავრობასთან ასმენენ აჭარლებს, რომლების ცილის წამებითაც არბევენ და ატყვევებენ უდანაშაულო აჭარლებს, ამას, თუ ცოტა მოთმენას ვიქონიებთ, სულ ახლო მომავალი დაგვანახვებს და თვითონ აჭარლები აგვიხელენ თვალებს.

მისსიონერზე კამათობის საბაბად გახდა ბათუმის კომენდანტის მოთხოვნილებისა და სინოდალური კანტორის დადგენილების შესასრულებლად ჩემ მიერ მამა ჩხიკვაძის დროებით გაგზავნა ამ ზაფხულს ხულოში. ჩემგნით იგი გაფრთხილებული იყო, რომ არავითარი შუამდგომლობა არ აღეძრა ჩემთან ვისიმეს მონათვლის შესახებ. მას ევალებოდა ადგილობრივი ქრისტიანებისათვის მოძღვრული მოვალეობის შესრულება და ეკლესიის აშენების საქმეში მონაწილეობის მიღება. მეტი არავითარი დავალება მამა ჩხიკვაძეს არც ჩემგან და არც სინოდალური კანტორისაგან არა ჰქონია და, ვგონებ, არც მას გადაულახავს ესეთი დავალება.

თქვენ რაც გენებოთ, ის იფიქრეთ და მე კი სრული სიწრფელით მოგახსენებთ - აჭარაში რომ სრულებითაც არა ყოფილიყო მისსიონერის თანამდებობა, ჩვენი ზნეობრივი მოვალეობა იქნებოდა მედგრად მოგვეთხოვნა ვისგანაც ჯერ არს ასეთი თანამდებობის დაუყოვნებლად დაარსება. არა მარტო აჭარა-ქობულეთში, სანამ ყოველგან ჩვენს სამშობლოში საიმედო მისსიონერები არ გვეყოლებიან, მანემდისინ სოფლის ხალხი ვერავითარი ღონისძიებით ვერ მოიშორებს თავიდან იმ უმეცრებისა და გონებრივი სიბნელის წყვდიადს, რომელიც სულს უხუთავს მას და მთლად უმწეო არსებად ჰქმნის. ძალიან ძნელია ამ დებულების უარის საყოფლად შესაწყნარებელი საბუთების წარმოდგენა. დღევანდელ პირობებში სულ მცირე განვითარების პატრონებიც აღარ დგებიან სოფელში; ვისაც განათლება მიუღია, ყველა ქალაქში გარბის და სოფელში უმწეოდ დარჩომილი ხალხის ბედ-იღბალზე მზრუნველობით თავს არავინ იწუხებს. თუ იტყვით ზაფხულობით კანტი-კუნტათ ინტელიგენტების სოფლად მოგზაურობას ლექციების საკითხად და წარმოდგენების დასადგმელად, ეს ხომ გართობაა და არა სერიოზული საქმიანობა. მაშ ვიღაა, რომ სოფლელებს გვერდში ამოუდგეს და მათი ჭირ-ვარამი გაიზიაროს? თავის მოტყუება იქნება ამგვარ პირებად სახალხო მასწავლებლების დასახვა სულ მცირედი გამონაკლისის გარდა ჩვენ არ მოგვეპოვებიან მშობლიო ერის მეგობარი სახალხო მასწავლებლები. პირიქით, მასწავლებელთა დღევანდელი საქმიანობა უარყოფითი და მავნე ხასიათისაა ჩვენი ერის კეთილდღეობისათვის. ეს ჩვენში დღეს დიდმაც იცის და პატარამაც. დარჩა მისსიონერი; მარტო იგია გულწრფელი და თავდადებული მოკეთე ყველასაგან მიტოვებული და ქვა ნატყორცნი სოფლელებისა. სოფლელების მოკეთე ინტელიგენტი სოფლელებ-შუა უნდა ტრიალებდეს და მათი ცხოვრების დუღილში უნდა იხარშებოდეს. ამას, სხვა ინტელიგენტებთან შედარებით, ყველაზე მეტად ახორციელებს მისსიონერი და ამიტომ ჩვენი მუდმივი სიმპატიაც, სხვებზე მეტად, მისსიონერისკენ უნდა იყოს მიმართული. მისსიონერი, მამაკაცი იგი თუ ქალი, უწარჩინებულესი შვილია თავისი ერისა. მისსიონერთა დევნა იგივეა, რაც უმწეო ბავშვებისათვის მზრუნველი მამის ხელიდან გამოგლეჯა. საქართველოსთან ერთად მისსიონერებსა გვთხოვს აჭარა და თუ ნამდვილად შეგვტკივა მასზე გული, ყური ვათხოვოთ ამ მუდარას.

IV

მისსიონერობა საინგილოში თითქმის სამოცი წლის მოვლენაა. ეს დრო მთლად მცირე დრო არ არის და არც მისი სიგრძის მანძილზე გაბმული მისსიონერთა მოქმედება უნდა გვეჩვენებოდეს მარტივ და სირთულეს მოკლებულ აქტად. საინგილოში მისსიონერების ისტორიის გაშუქება

მომავლის საქმეა, იგი ჯერ საკუთარ მკვლევარს უცდის, რადგანაც მის შესახებ აუარებელი მასალა ჯერ გაბნეულია სხვადასხვა კანცელარიის არქივებში და არავინ ცდილა მეცნიერული ანალიზით მის შესწავლა-დალაგებას. თუ, მიუხედავად ნათქვამისა, ჩვენ მიანც მსჯელობას ვმართავთ საინგილოში მისსიონერების და მისსიონერთა თაობაზე, ამაზე გვიწვევს ის გარემოება, რომ გაზეთ „საქართველო“-ში დაისტამბა ამის შესახებ ორი ფრიად საყურადღებო წერილი, რომელთაგან ერთი ეკუთვნის ბატონ ზ. ედილს და მეორე რ. ინგილოს. ჩვენი შეხედულებით ეს წერილები ღირსია მისი, რომ მკითხველმა საზოგადოებამ გულდასმით და დაკვირვებით ასწონოს და მიუდგომლად შეაფასოს მათი შინაარსის ღირებულობა, მკითხველი საზოგადოება ახლო და საბუთიანათ გაეცნოს წერილებში გატარებულ აზრებსა და დებულებებს. ამ მოსაზრებით, აღნიშნული წერილების დაწვრილებით განკილვამდე, საჭიროდ ვცნობთ ორთავეს გადმობეჭდვას.

აი, ბატონი ზ. ედილი როგორ მსჯელობს მისსიონერების შესახებ საინგილოში:

..... წარსულ საუკუნის მესამოცე წლებში საინგილოში ისეთივე აღფრთოვანებული მდგომარეობა იყო საქართველოსადმი მიმართული, როგორსაც დღეს ვხედავთ აჭარაში და რომელიც გამოწვეული იყო შამილთან ომიანობისა გამო. მაგრამ როგორ ვისარგებლეთ ჩვენ ამ მდგომარეობით? ჩვენ იმათ სამღვდელოება მივუსიეთ, მარტოოდენ სამღვდელოება, არც მეტი და არც ნაკლები. არც სკოლა, არც ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანება, არც წიგნი, არც თუ სხვა რამე არ შევიტანეთ ამ სრულიად განუვითარებელსა და შეუგნებელ ხალხში. და მერე იცით, რა მოვიმკეთ, რა მწარე შედეგი მოგვცა ამ მოუფიქრებელმა შესევამ?

საინგილო, რომელიც მუდამ საქართველოსკენ იცქირებოდა, საინგილო, რომლის გულშიაც მთელის საუკუნოებით ლეკთა თარეშმა და აკლება-აწიოკებამ ქართველობა ვერ ამოშალა და ამოჰგლიჯა, სრულიად გადაბრუნდა და დანარჩენ საქართველოს არამც თუ ზურგი შეაქცია, მტრულად ყურება დაუწყო, ერთის სიტყვით ყოველივე ერთობა მოსპო ქართველებთან, ამ თავისს მოძმეებთან, რომელთანაც ერთად იყო და ერთად სწევდა ჭაპანს მრავალი საუკუნოების განმავლობაში.

ამ გალაშქრების შემდეგ ხელში შეგვრჩა დღეს საინგილოდან მხოლოდ ოთხი სოფელი, რომელშიაც ქრისტიანობა დამკვიდრდა და მისი უდიდესი ნაწილი კი მეფე ერეკლეს სამოურაო სრულიად ხელიდგან წაგვივიდა. აი ამ ხელიდან წასულს საინგილოში იმდენად გაძლიერდა მძულვარება შემდეგში ქართველებისადმი და ყოველივე იმისადმი, რაც კი ქართველობას მოაგონებდათ, რომ ყოველივე საზღვარს გადავიდნენ. მრავალს სოფლებში პირდაპირი დადგენილება ჰქონდათ, რომ დედებს ამიერიდგან ქართული აღარ ესწავლებინათ ბავშვებისთვის, რათა სრულიად მოსპობილიყო ქართველობა

საინგილოში. მაგრამ რადგანაც პირველ ხანებში არსებითად შეუძლებელი იყო ამისი ცხოვრებაში განხორციელება, რადგანაც მრავალმა დედებმა ეხლაც კი არ იციან თათრული ენა, ეცნენ ნუხისა და ყაზახის მაზრებს და იქიდან დაიწყეს თათრის ქალების თხოვნა. ბავშვებს კიდევ, რომლის დედებმაც არ იცოდნენ თათრული, აბარებდნენ თათრის სოფლებში, რომ ჩქარა თათრული ესწავლათ და ქართული დაევიწყათ. ამას გარდა მოსპეს ქართულს წმიდა ადგილებში სიარული, გასჩეხეს ვენახები და გაყიდეს ქვევრები, დაიწყეს თათრულად პურის ცხობა და სხვადასხვა. ერთი სიტყვით, ძვალით ხორცამდის მარტო გამუსულმანდნენ კი არა გათათრდნენ, რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა.

აი ეს მოვიმკევით საინგილოში. კარგად დაფიქრდით, ბატონებო, ამაზე და ნუღარ გაიმეორებთ ამასვე სხვაგანაც, თუ, რასაკვირველია, გრწამთ და გჯერათ ქართველთა გაერთიანების იდეა ეროვნულს ნიადაგზე... (საქართველო. – 1 სექტემბერი. – 1915 წ. – N82)

ახლა მოუსმინოთ რ. ინგილოს.

რითი უნდა აიხსნას, რომ საინგილო მეტოდიურად მიდის გადაგვარების გზაზე? რა არის უახლოესი მიზეზი იმისი, რომ საქართველოს, როგორც მოგვითხრობს პატივცემული ზ. ედილი, თვისი საუკეთესო კუთხე ეცლება ხელიდგან?

განხილვა ყველა იმ მიზეზებისა, რომელთა მეოხებითაც საინგილოს დენაციონალიზაცია ფესვს იჩენს რასაკვირველია, გაზეთის მცირე მიმოხილვაში შეუძლებელია; ჩვენ ვეცდებით დავასახელოთ ზოგიერთი ფაქტი, აღვნიშნოთ მომენტები, რომელნიც საინგილოში ეროვნულ შეგნების განვითარებას ხელს ვერ შეუწყობენ. ავიღოთ თუნდა სარწმუნოებრივი საკითხი: მოგეხსენებათ, რომ მართლმადიდებელი ინგილოებიც არიან და მაჰმადიანებიც; მათ შორის უმრავლესობა მაჰმადიანია. გლეხის ბნელი გონება, ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ სარწმუნოებრივი გარჩევა არ იგულისხმებს ეროვნების სხვადასხვაობას. და აი იმის მაგივრად, რომ მკვიდრთ ეს მარტივი დებულება ჩაუნერგონ, ყოველივე მიმართული იყო და არის დღესაც იმისკენ, რომ შუღლი დასთესონ ქრისტიანთა და მაჰმადიანთა შორის, რომ ხშირად ნათესავები, რომლებიც აღიარებენ სხვადასხვა სარწმუნოებას, წაჰკიდონ და გადაამტერონ ერთმანეთს...

მისსიონერობის დაარსებამ საინგილოში არამც თუ არ მოიტანა სათანადო ნაყოფი, პირიქით, საქმე უარესად წაახდინა და უფრო დაამკვიდრა ისლამში ის ინგილონიც კი, რომელთა მოქცევა არც ისე ძნელი იყო. გარდა ზოგიერთი მისსიონერისა, რომელთა შორის მოსახსენებელია ისტორიკოსი და პუბლიცისტი განსვენებული მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი თვით ინგილო, მომეტებული ნაწილი მათგანი ხელმძღვანელობდა უფრო ინსტრუქციებით, ვიდრე ჭეშმარიტ ქრისტიანულ სათნოებით. თუ ჩვენ ქრისტეს მცნების ნამდვილი მოქადაგე წარმოდგენილი გვყავს ჯვარით მიმავალი და სიკეთის

მთესველი, საინგილოში გამწესებულ მისსიონერებს თვალი უფრო ბოქაულებისკენ ეჭირათ; ინგილოებს არ მგონია დავიწყებოდეთ ის სახარების მქადაგებელი, რომელმაც „პრისტავ ჩაფრებს“ მათრახებით დაატყეპინა ვითომ-და ურჩნი ინგილონი. ეს „მშვენივრად“ დაწყებული საქმე იმით დაამთავრეს, რომ ამ ორი-სამი წლის წინათ გამოგზავნეს სოფელ თასმალოში მისსიონერად მოსკოვში ვოსტორგოვის მიერ დაარსებულ სამისსიონერო კურსებ დამთავრებული მღვდელი-რუსი, რომელმაც ქართული ენა ისევე იცოდა, როგორც ჩვენ ჩინური.

მაგალითების გაგრძელება აღარ არის საჭირო, ნათქვამიდან ნათლად სჩანს, რომ სარწმუნოებრივ საკითხს ანორმალურად მოწყობამ ძლიერ შეაფერხა საინგილოში ნაციონალურ მომენტის განვითარება ამგვარი მდგომარეობით სავსებით ისარგებლეს ეფენდი მოლებმა, რომელთაც ხელთ იგდეს მომზადებული ნიადაგი და ხალხს ჩასჩიჩინებენ, რომ იგინი არიან მაჰმადიანები და, მაშასადამე, თათრები! საინგილოში მოიპოვება სოფლები, მაგალითად, ალიაბეთი, მოსული და სხვანი, დასახლებული ინგილო მაჰმადიანებით, რომლებიც მშვენივრად ძველ ქართულს ლაპარაკობენ. მისსიონერების მოქმედებამ, ერთის მხრივ, და მოლების მიერ პანისლამიზმის პროპაგანდამ, მეორეს მხრით, იქამდის მიიყვანა საქმე, რომ ერთ სოფელში, სადაც კიდევ შენახულია ვეფხვის ტყაოსანის ენა, მოლებმა ბრძანება გამოსცეს, რომ თითო ხარი ჯარიმა დაედება ყველას, ვინც ქართულად ლაპარაკს გაბედავსო. რომ დავამთავროთ ჩვენი საუბარი, მეტი არ იქნება მოვიხსენიოთ ისიც, რომ ამ თხუთმეტიოდე წლის წინად ერთს მისსიონერს დავალებული ჰქონდა შედგენა ინგილოთათვის ახალი ანბანისა რუსული ასოებით!

ჩვენ განზრახ მივაქციეთ მკითხველის ყურადღება სარწმუნოებრივ საკითხს: ყველასთვის ცხადია, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სარწმუნოებას მეტადრე სოფლად, უბრალო ხალხში, თუ რამდენად ძლიერ კვანძს შეადგენს იგი გლეხი-კაცის ცხოვრებაში. რიგიანი გადაწყვეტა საინგილოში სარწმუნოებრივ საკითხისა, ჩვენის აზრით, უნდა შეადგენდეს ერთს უახლოვეს და უმთავრეს მიზანს ყოველ ქართველისათვის. ეს ცხადზე უცხადესია, მხოლოდ დღევანდელ პირობებში უნდა ვეცადოთ და ვიხმაროთ ყოველი საშუალება, სიტყვით, წერით, და უფრო კი საქმით, მოქმედებით, რომ ინგილო მაჰმადიანმა თვისი თავი ქართველად ჩასთვალოს. ქართული სკოლის დაარსება საინგილოში იქნება პირველი გაშლილი ნაბიჯი, რასაც შედეგად მოჰყვება უფრო ძმური დაკავშირება ალაზნის გაღმა კუთხისა საქართველოსთან „(საქართველო, 12 ივნისი, 1915 წ. N17).“

V

სიმართლეს მოკლებულად ვთვლით ბატონ ზ. ედილის წერილის აბცუგს, მთავარ დებულებას, გამოსვლას იმ დებულებიდან, ვითომც წარსული საუკუნის მესამოცე წლებში შამილთან ომიანობის გამო საინგილოში იმისთანავე აღფრთოვანებული მდგომარეობა ყოფილიყოს საქართველოსადმი მიმართული, როგორსაც დღეს ვამჩნევთ აჭარაში. მესამოცე წლებში მოქმედ ინგილოების მდგომარეობა არც ერთი მხრით არ წააგავდა აჭარელთა დღევანდელ ყოფა-მდგომარეობის ვითარებებს და ამის გამო ნამდვილად არც ისეთი სულიერი განწყობილება ჰქონიათ ინგილოებს დანარჩენ ქართველებთან, როგორითაც დღეს გამოიყურებიან აჭარლები. აჭარლები დღეს სულით და გულით გადმოხრილი არიან ქართველებისკენ, აჭარლები საქმით დარწმუნდნენ, რომ ქრისტიანი ქართველები მათი ძმები არიან, მათ სისხლსა და ხორცს წარმოადგენენ. დარწმუნდნენ ამაში იმის გამო, რომ იმ დროს, როდესაც ყველანი ამხანაგობდნენ მათ გასანადგურებლად, ყოველი მხრიდან მიესიენ მათ მიდამოს, ყველამ ხელის თბობა დაიწყო იმ ცეცხლზე, რომელიც ნაცრად ხდიდა მათ სახლსა და კარს, როდესაც ყველანი არბევდნენ, აწამებდნენ, შეურაცხყოფდნენ, აწიოკებდნენ და შიმშილით აწბილებდნენ ყოველ აჭარელს, ქართველმა ერმა საკუთარ უბედურებად დაისახა ასეთი გაჭირვება აჭარლების, ქართველმა ერმა საკუთარ ტკივილად მიიჩნია აჭარელთა სატკივარი, საქართველოს ყოველი კუთხე ფეხზე დადგა აჭარლების გამოსასარჩლებლად, ქართველმა, ქრისტიანებმა ბავშვებმაც კი ხელადები აავსეს წყლით აჭარაში ულმობელი პაჟარის ჩასაქრობად, მცირე წლოვანმა ქართველებმა თავიანთი ტანისამოსით შემოსეს მტრებიდგან გაშიშვლებული პატარა აჭარლები, თავიანთი კერძი შესთავაზეს აჭარელთა დამშეულ ბავშვებს და სხვ. საოცარი და გაუგებარი იქნებოდა, რომ ქრისტიან მოძმე ქართველების ძმურ თანაგრძნობაზე ასეთივე მხურვალე თანაგრძნობითა და სიყვარულით არ ეპასუხნათ აჭარლებს.

ახლა თქვენ გვიბრძანეთ და საბუთები წამოგვიყენეთ; შამილი რომ საინგილოს არბევდა და აწიოკებდა, რა დახმარება და თანაგრძნობა გაუწიეს საბრალო ინგილოებს გურულებმა, მეგრელებმა, იმერლებმა და ან თვით ქართლელებმა და კახელებმა, რომლებიც ინგილოებზე ნაკლებად არა ძრწოდნენ შამილისა და ლეკების შიშისაგან? საქართველოს რომელი კუთხის მკვიდრებმა შეუმშრალეს ატირებულ ინგილოებს ცრემლები, რომელმა ქართველმა გაუგზავნა მათ პური, ვინ გაუღო მათ თავშესაფრად ოჯახის კარი, ვინ გამოიხსნა იგინი ლეკთა ტყვეობიდან? არსად საქართველოში ამაზე ფიქრი და ზრუნვა არ ყოფილა და რას უნდა შეექმნა ინგილოთა შორის დანარჩენ ქართველებისადმი ისეთი აღფრთოვანებული თანაგრძნობა, რომელიც ჩვენი დროის ქართველებმა დაუბადეს აჭარლებს თავიანთი სამაგალითო

საქციელით? არა, ასეთ დახმარებას ქართველების მხრივ წარსული საუკუნის მესამოცე წლების ინგილოების ცხოვრებაში ალაგი არა ჰქონდა და არც ინგილოები ყოფილან გატაცებულნი ვისმეს თვალსაჩინო თანაგრძნობით.

გარდა ამისა შამილი დაიჭირეს და რუსეთისკენ გაისტუმრეს 1859 წელს და ამ წლიდან ბოლო მოეღო მის გავლენას როგორც საინგილოზე, ისე ქართლ-კახეთზე და მთელ საქართველოზე. ცხადია, შეუძლებელი და უალაგოა წარსული საუკუნის მესამოცე წლებში შამილთან ომიანობის თაობაზე ბაასი და ამ ომიანობის გავლენის შესახებ მსჯელობა ინგილოზე. აქ, ალბათ ბატონ ზ. ედილს უნდა ეხსენებინა ბელაქნელი აჯი მურთუზას აჯანყება 1862 წელში, მაგრამ ეს გარემოება არაფერს შველის ედილის წერილის დასაწყისში გამოთქმულ სიმართლეს მოკლებულ დებულებას, პირიქით, უფრო ნათელს ჰყოფს მის შემცდარობას.

VI

მეტად საწყენი და გასაკიცხია ბატონ ზ. ედილის შემდეგი ფრაზა: „ჩვენ იმათ (ინგილოებს) სამღვდელოება მიუსიეთ, მარტოოდენ სამღვდელოება, არც მეტი და არც ნაკლები!“

ჯერ ერთი საჭიროა ვიცოდეთ, ვის გულისხმობს იგი ნაცვალ სახელის „ჩვენ“-ის ქვეშ? წარსული საუკუნის სამოციან წლებში არ არსებობდნენ ჩვენში „სახალხო ფურცელი,“ „საქართველო,“ „თანამედროვე აზრი,“ „თეატრი და ცხოვრება,“ „განთიადი,“ „განათლება“ და სხვები, რომ მათ რედაქტორებს ეზრუნათ და ეფიქრათ ინგილოების ბედ-იღბალზე, არ იყვნენ აგრეთვე საზოგადოებანი; წერა-კითხვისა, საქველმოქმედო, ქართული სასოფლო-სამეურნეო, ეთნოგრაფიული, ქართული კულტურის მოყვარულთა და მაშ ვიღაა ის „ჩვენ,“ რომლებმაც ინგილოებს მიუსიეს სამღვდელოება?!

მეორეთ, სიტყვა - მისევას განსაკუთრებით მნიშვნელობით ხმარობენ ქართველები. მისევაა, როდესაც ადამიანი საგანგებო წაქეზებით წაჰკიდებენ ხოლმე ერთმანეთში მყეფრებს, მისევაა, როდესაც კაცი წაქეზება-გამხნევებით დასაკბენად გამოუყენებს ხოლმე ძაღლებს ეზოში, ბაღში ან ყანაში შემოპარულ ქურდებს ან საქონელს, მისევაა, როდესაც კაცის ნამუშევარი ნადგურდება საქონელისა, ნადირთა, ფრინველებისა, ქვემძრომთა, მწირთა და მისთანეების მოქმედებით, მისევაა ადამიანთა ჯგუფის მხრივ ვისზედმე მოულოდნელად თავდასხმა მტრული განზრახვით და სხვა. ყოველ შემთხვევაში მისევას შედეგად მოსდევს ვნება, დაზარალება, წახდენა, გავერანება, უბედურების მიყენება, მტრობა-შუღლის ჩამოგდება და ამგვარები. სამწუხაროდ, ასეთი მნიშვნელობით ხმარობს ამ ლექსს ბატონი ზ. ედილი თავის წერილში, როდესაც აღნიშნავს წარსულ საუკუნის სამოციანი წლების სამღვდელოების მოქმედებას საინგილოში. ვიცით, რომ ბატონი ზ. ედილი დიდი მოკეთე და

მოსიყვარულეა ინგილოებისა, მაგრამ მით უფრო მეტი პატივისცემითა და მოკრძალებით უნდა შეხებოდა იგი ისეთი გვამების ხსენებას, როგორებიც იყვნენ მესამოცე წლების ინგილოთა მოძღვრები: პეტრე კონჩუაშვილი, დიმიტრი ჯანაშვილი, გოგებაშვილი, ბეგიაშვილი და სხვანი, რომლებსაც დღესაც ლოცვით და კურთხევით იხსენიებენ მრავალნი საინგილოში.

საინგილოში ქართველმა მღვდლებმა დაიწყეს მოქმედება წარსული საუკუნის ნახევრიდან და არა სამოციან წლებიდან, ამასთან მღვდლები მოითხოვეს თვით ინგილოებმა და აზრათაც არავის არ მოსვლია საინგილოში სამღვდელოების მისევა. აი, როგორ მოგვითხრობს დამსახურებული საზოგადო მოღვაწე საინგილოს სასიქადულო შვილი მოსე ჯანაშვილი მღვდლების შესვლას საინგილოში: „ცოტა მოეფონათ თუ არა, ინგილოებმა გამოგზავნეს ქალაქს (1849 წ.) თვისი წინამძღოლები (ივან-ბაბა ბულუღაშვილი, გიორგი ჯანაშვილი, კოტე ბულუღაშვილი და კიდევ ოთხი სხვა) და გამოუცხადეს მთავარმართებელ ვარანცოვს, ჩვენ ქრისტიანები ვართო და გამოგვიგზავნეთ ქართველი მღვდლები, რომ „მოუნათლავი ქრისტიანები“ მოგვნათლონო... მეორე წელიწადს ამავე ინგილოებმა ქალაქში ჩამოიყვანეს კიდევ 70 კაცი (მათ შორის 9 წლის დიმიტრი ჯანაშვილიც), ესენიც მონათლეს და ქართველ სამღვდელოებით დაბრუნდნენ და გააქრისტიანეს ყველა ქართველობა. გაისმა ისევ ზარის ხმა ერის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.“ (მ. გ. ჯანაშვილი, საინგილო, გვერდი 18.). ხალხის ერთი ნაწილი თხოულობს სამღვდელოებას, ხალხის ერთი ნაწილი დღესასწაულობს სამღვდელოების შეძენას და ედილი კი ცრემლებს აფრქვევს სამღვდელოება მიუსიეთ ინგილოებსაო! ამას ჰქვიან მიუდგომლობა და სიმართლის მომხრეობა!!!

ინგილოები რომ გადაბრუნდნენ, ინგილოებმა რომ ქართველობა შეიძულეს, ქართველებთან რომ ყოველი ერთობა და კავშირი შესწყვიტეს, ქართული ენა რომ თავიანთი ოჯახებიდან გამოაძევეს, ბატონი ზ. ედილის შეხედულებით, ეს სულ წარსული საუკუნის მესამოცე წლების საინგილოს სამღვდელოების ბრალია, წამოყენებული ბრალდება რომ სიმართლეს შეიცავდეს, ინგილოებისა კი არა, სრულიად საქართველოს სამღვდელოებაც სამარცხვინო სვეტზე მისამსჭვალი იქნებოდა, მაგრამ, ჩვენდა სანუგეშოდ, საქმე სრულიადაც ისე არ არის, როგორც ბატონი ზ. ედილი გვიხატავს.

ფაქტია, რომ წარსული საუკუნის სამოციან წლებში ინგილოები გადუდგნენ ქრისტიანობას, ისევ მაჰმადიანობას დაუბრუნდნენ და ზურგი შეაქციეს ქრისტიანობას, მაგრამ ამაში საინგილოს იმდროინდელ სამღვდელოებას არავითარი დანაშაული არ მიუძღვის. აი, როგორ ხსნის ამ მოვლენას ბატონი მოსე ჯანაშვილი: „მოხდა ლეკების ღელვა (აჯი მურთუზას ამბოხი 1862 წ.), ინგილოებს ემუქრებოდნენ, გაგწყვეტავთ, თუ არ გამაჰმადიანდითო. მუქარამ ბევრი შეარყია: ალიაბათი, მოსული, ჰენგიანი და სხვანი გადადგნენ. ქრისტიანობა დარჩა მხოლოდ კაკს, ყორაღანს, ალიბეგლოს,

ქოთუქლოს, მეშაბაშს და თითო-ოროლაც ზოგიერთ სხვა სოფლებში.“ (მ. გ. ჯანაშვილი, საინგილო. 19გვ.). დღესავით ცხადია ყველაფერი. მეორეც, ეს გადადგომა მონათლული ინგილოებისა სრულებითაც არ არის კერძო და ადგილობრივი მოვლენა. იგი ერთი ზვირთია იმ ფართო მღელვარებისა, რომელმაც სწორედ წარსული საუკუნის მესამოცე წლებში ქარიშხალივით გადურბინა თავზე მაჰმადიანობასთან მოკავშირე ყველა ერებს, ყველანი გაიტაცა მაჰმადიანობის ღურღუმისკენ და ყველას ჩამორეცხა ის, რაც მანამდე საერთო ჰქონდათ თავიანთი მოდგმის, თავიანთი სისხლისა და ხორცის ქრისტიან ერებთან. ინგილოებთან ერთად ქრისტიანებიდან გადადგნენ ყაზანისა, ორენბურგისა, უფისა, ყირიმის გუბერნიების და სხვა ადგილების მონათლული თათრები. მაჰმადიანობის მიმდევარი ერების ცხოვრების ამ საყოველთაო მოძრაობიდან ინგილოები გამონაკლისად ვერ დარჩებოდნენ და ამიტომ სრულებით უსაბუთოა ამ მოვლენის გადატანა სამღვდელოებაზე. ეს ფაქტი თავისთავად დიდად საინტერესოა და ვისაც სურს მასთან გაცნობა, შეუძლიან მიმართოს საკმაოდ მდიდარ სპეციალურ ლიტერატურას რუსულ ენაზე.

ისტორიული სიბეცეა, მეტი რომ არა ვთქვათ-რა, ედილის მხრივ მტკიცება, ვითომც ქართული ენის შეძულებას და დავიწყებას და ინგილოთა მიერ დამოკიდებულობა ჰქონოდეს მესამოცე წლებში მათი გაქრისტიანების ცდასთან. აქ თავი საკითხი იმაშია, ვინ იყო დაინტერესებული, რომ ინგილოებს ხელი აეღოთ ქართულ ენაზე და-მერე, როდის დაიწყო მეცადინეობა, რომ ასეთ მიმართულებას ფესვი გაედგა ინგილოთა ფსიქიკაში. თუ ასეთი მეცადინეობა წარმოებდა საუკუნოების განმავლობაში ერის ცხოვრების სიღრმეში და გარეგანი პირობები არ აბრკოლებდნენ მას, მაშინ ულოღიკობა იქნებოდა მესამოცე წლებში ინგილოების დადგენილებები ცხოვრებიდან და მათი ოჯახებიდან ქართული ენის გაძევების თაობაზე გამოვაცხადოთ ამდროინდელი ადგილობრივი სამღვდელოების მოქმედების შედეგად. აქ სამღვდელოების მოქმედებას არა მიეწერება-რა ეს ძველთაგან ძველი სენია მისი დასაბამი, ფესვი და ძირი დამალულია საუკუნეთა სიღრმეში. აი, სხვათა შორის, რა ცნობებს გვაძლევს ამის შესახებ ბატონი ზ. ჭიჭინაძე: „საინგილოს ქართველებში ისლამის გავრცელების დასაწყისად XVII საუკუნე ითვლება... უნდა ითქვას, რომ საინგილოში და ვართაშენში ისლამმიღებულ ზოგს ქართველს სადღეისოდ ქართული ენა დავიწყებიათ. ეს მომხდარა მათის ხოჯების და მოლების ქადაგებით, რომელთაც შიში ჯქონიათ ქართული ენის, მრევლს ეუბნებოდნენ თურმე, რომ ქართულად ნუ დაილაპარაკებთ, თორემ ბოლოს ძალას დაგატანენ და გაქართველდებითო. ამ გარემოებას დაუვიწყებია მათთვის ქართული ენა.“ (ზ. ჭიჭინაძე. ქართველების გამაჰმადიანება. 196გვ.). მოყვანილი მოწმობა მეტად ცხადი და აშკარაა, რომ მას რამე მხრით განმარტება სჭირდებოდეს.

არა, დიდი და ძვირფასია წარსული საუკუნის სამოციანი წლების საინგილოს სამღვდელოების მიერ გაწეული ღვაწლი და შრომა. დღეს, რაცკი რამ ქართული და ეროვნულია საინგილოში, სულ ნაჩვენები დროის მღვდლებისა და მათი ღირსეული მოადგილეების წყალობაა და არა ვისმე სხვისა, რასაც, უნდა კაცმა სიმართლე სთქვას, ბატონი ედილიც მჭერმეტყველურად ამტკიცებს თავისი სიტყვებით „არც სკოლა, არც ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანება, არც წიგნი, არც თუ სხვა რამე არ შეგვიტანია ამ სრულიად განუვითარებელსა და შეუგნებელს ხალხში.“ დიახ, მესამოცე წლების ქართულ საერო საზოგადოებას არაფერი არა შეუტანია რა საინგილოში და მხოლოდ მღვდლებმა დააარსეს იქ სამრევლო სკოლები, მღვდლებმა შეიტანეს ინგილოთა ოჯახში ქართული წიგნი, მღვდლებმა მიიყვანეს ახალგაზრდა ინგილოები საშუალო სკოლის კარამდე, მღვდლებმა ჩაუდგეს მტკიცე საძირკველი ინგილოთა ეროვნული გამორკვევისა და განათლების საქმეს. უდიერობაა ასეთი სამღვდელოების აუგად ხსენება საერთოდ და ქამობაა კერძოდ არაფრად მიმჩნევა სამოციანი წლების იმ მამების ღვაწლისა, რომელთაგანი, მოსე ჯანაშვილის მოწმობით, ერთი „ფარივით უდგა საინგილოში ქართველობას“ ხოლო მეორე „1865-1870 წელში უსასყიდლოდ ასწავლიდა ინგილოთა შვილებს და მათ შორის ამ სტრიქონების დამწერსაც.“ (მ. გ. ჯანაშვილი. საინგილო. 44გვ.).

დაგვრჩა გასახილავად მარტო დაბოლოება ბატონი ზ. ედილის წერილისა. ეს დაბოლოება იქცევს ყურადღებას იმის გამო, რომ მასში ბატონი ზ. ედილი ეხება ეროვნების ნიადაგზე გაერთიანების საკითხს, რომელიც მეტად საყურადღებო და საცოდინარია ყველა ქართველისთვის. სამწუხაროდ ბატონი ზ. ედილი მხოლოდ ოდნავ, გაკვრით იხსენიებს მას და ლამობს მის განხორციელებას სრული განცალკევებით, სრული შეუხებლობით და დამოუკიდებლობით არის სარწმუნოებრივი სოფლმხედველობის გავლენისაგან. ბატონი ზ. ედილი სწერს, რომ მაჰმადიანი ინგილოები უსწავლელები და გონება ბნელები არიან, ქართული ენა სძულთ, ქართველობასთან ერთობისა და კავშირის დაჭერა არ სურთ, ქართულ წიგნს გაურბიან, ქართულ სკოლას ახლო არ ეკარებიანო და აღარ გვესმის, სადღაა ის დუგმა, რომლის საშუალებითაც სურს მას გადააბას ერთი მეორეზე მაჰმადიანი და ქრისტიანი ინგილო? მაჰმადიანი ინგილოები ტყვეებია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ლეკებისა და უცხოეთიდან მოსული მოლა-ხოჯებისა, რომლებიც შინაც და გარეთაც, ბოსტანშიაც და ჩალთუკის ყანაშიაც, წისქვილშიაც და კალოშიაც, ქორწილშიაც და ქელეხშიაც, უცხოსთანაც და შინაურებთანაც, მეჩეთშიაც და გიმგაზედაც,[2] დილითაც და საღამოითიც, ჯანსაღობაშიაც და ავადმყოფობაშიაც, ბავშვობაშიაც, ახალგაზრდობაშიაც და მოხუცებულობაშიაც სულ იმას ჩასძახიან, იმას ასწავლიან, იმას მოსთხოვენ და

[2] სოფლის სალაყბო ალაგი.

ავალებენ მაჰმადიან ინგილოებს, რომ არავითარი კავშირი არ დაიჭირონ ქრისტიან ქართველებთან, გზაში შეხვედრის დროსაც კი პირი მოარიდონ მათ, რომ ქრისტიანების სახის დანახვით არ შეიბილწონ მაჰმადიანობისაგან განსპეტაკებული მათი თვალები, არამცა და არამც არ მიეტანონ ქართული ენის ცოდნას, რადგანაც, შესაძლოა, სულთა ბრძოლის დროს წამოსცდეთ რამე მათ, თუ გინდ უნებლიეთ, ქართულად და ეს დაუკარგავს მათ ალლახის წყალობას, შიმშილით სიკვდილი ირჩიონ ქრისტიანი ძმისაგან ლუკმის მიღებას და სხვა ამგვარებს. სამართალი, ვაჭრობა, მწიგნობრობა. სოფლის გამგეობა, ყოველგვარი ხელოსნობა-ოსტატობა, აქიმობა და მკითხაობა მაჰმადიან ინგილოთა შორის სულ დაღესტნელები ლეკებისა და მოლა-ხოჯების ხელშია. მაჰმადიანი ინგილო შეკრულია ლეკებისაგან ხორცითაც, სულითაც და სვინიდისითაც, მას არავითარი საშველი არ აქვს; მაჰმადიანმა ინგილომ ყოველ წამს თვალში უნდა უყუროს მოლა-ხოჯებს, ან უბრალო ლეკებს და ის იფიქროს, ის იგრძნოს, ის დაინახოს და წარმოიდგინოს, რასაც უკანასკნელები უბრძანებენ მას. ეს მკრთალი და სუსტი სურათია მაჰმადიან ინგილოთა ცხოვრების სინამდვილისა და ვერ წარმოგვიდგენია, რა უნდა შეუყენოს ბატონმა ზ. ედილმა ბურჯად ქრისტიან და მაჰმადიან ინგილოთა შორის ეროვნული ერთობის აღსადგენად გასადებ ხიდს, თუ არა ისევ ქრისტიანული მადლით გაშუქებული მხნეობა მოყვასთა სასიკეთოდ ზვარაკებად განმზადებული მისსიონერებისა? ან სად განხორციელებულა მაჰმადიანთა და ქრისტიანეთა შორის ეროვნული ერთობა გარეშე სარწმუნოებრივი ძალების ამუშავებისა? გარდა ქართველებისა, მაჰმადიანი თანამოძმეები ჰყავთ მართლმადიდებელ ბერძნებს, სერბებს და ბოლგარებს, რატომ ამ ერებში არ განხორციელდა, ან ეხლა რატომ არ ხორციელდება იდეა ეროვნული ერთობისა ისე, როგორც ედილს სურს.

არა, ეს შეუძლებელი და კაცის სულიერი ბუნების წინააღმდეგია. ადამიანები ქვები არ არიან, რომ რომელ ურემზეც გნებავთ, იმაზე შეყაროთ. დაახლოება, შეჯგუფება, ურთერთის მიზიდვა, კრისტალიზაცია შესაძლოა მხოლოდ იმ ნივთიერებათა შორის, რომლებიც მსგავსი შემადგენლობისა, მსგავსი თვისებებისა, მსგავსი ან ერთი და იმავე შინაგანი მიზიდულობის ძალისანი არიან. ადამიანებს აერთებს და ერთერთთან აახლოებს იგივეობა და მსგავსება რწმენათა და შეხედულობათა. ვინც ჩემი აზრისა და შეხედულობისაა, ვისაც ჩემი იდეალები მოსწონს, ვინც ჩემ ღმერთს ემსახურება და ჩემებრ ლოცულობს, მეც იმას ველტვი, იმას უახლოვდები, იმასთან ვიჭერ ერთობასა და ძმობას. მსოფლმხედველობას, იდეალებს და მისწრაფებებს საზოგადოებაში ჰბადებს სარწმუნოება. რამდენადაც სარწმუნოება მაღალი და იდეალურია, იმდენად მის მიმდევართა მსოფლმხედველობა და მისწრაფებანი საღმრთო და სათნო ხასიათისანი არიან და წინააღმდეგ ამისა, რამდენადაც სარწმუნოება დაბალი და მიწიერია, იმდენად მის მიმდევართა და

მსოფლმხედველობაც და მისწრაფებანიც მდარე და მცირე ღირებულებისანი არიან. ერს, როგორც მტკიცედ ჩამოყალიბებული ხასიათის, გარკვეული მიმართულების და იდეალების მატარებელ ერთეულს, ჰქმნის ყველაზე პირველად სარწმუნოება, მერე ერთ-სისხლობა და ბოლოს ერთენობა. მაშასადამე, შეუძლებელია ეროვნული ერთობის იდეის დაყენება გარეშე სარწმუნოებისა. ამ იდეას განხორციელებისა და რეალობად გახდომის condition sine quaznon-ს შეადგენს სარწმუნოების ფრთეთა ქვეშე ყოფნა და სარწმუნოების წიაღიდან განუშორებლობა.

ამით ვათავებთ ბატონ ზ. ედილის ზემოთ მოყვანილ წერილზე მსჯელობას.

ბატონ რ. ინგილოს მკვირცხლი, ახალგაზრდობრივი გულსმოდგინებით და გატაცებით აღვსილი, შინაარსიანი, მკვეთრი ენით დაწერილი ბარათი საინგილოში სარწმუნოებრივი საკითხის შესახებ ძვირფასი რამეა, რომ შიგა და შიგ არ აუშნოებდეს მას რამდენიმე სრულებით შეუწყნარებელი, შემცდარი და სიმართლეს მოკლებული აზრი. თქმა არ უნდა, საინგილოში სარწმუნოებრივი საკითხის წარმოება მუდამ ნორმალური და უარყოფითი მხარეებს მოკლებული არ იქნებოდა, უსათუოდ, მისსიონერთა შორის ერივნენ მიმართულებით არა სამისსიონერო პირები, შესაძლოა, რომ საინგილოს ზოგიერთ მისსიონერებს „თვალი უფრო ბოქაულებისკენ ეჭირათ," შესაძლოა, რ. ინგილო სულაც მე მგულისხმობდეს უვარგის მისსიონერად, რადგანაც საინგილოში სამსახურის დროს, დღევანდლამდე ჩემდა გაუგებარ გარემოებათა გამო, ბედმა მარგუნა პასუხისმგებლის სკამზე ჯდომა იმ მიმართულების მოწმეთა წინაშე, დღეს რომ აჭარლების წინააღმდეგ გამოდიან. დიახ, ეს ყველაფერი შესაძლოა, მაგრამ აქ ხომ უმაგალითო და მაინც და მაინც გასაოცარი არა არის რა! ვისთვისაა უცნობი, რომ ქართველი ერი დაცილებულია თავის ბუნებრივ ფუძეს, რომ ქართველი ერი დღეს აღარ სდგას საკუთარ ნიადაგზე და ამის გამო ყველა მხარე მისი განვითარება - მოქმედებისა დიდი ხანია სწარმოებს არანორმალურად და არაბუნებრივად? რა ნორმალობას წარმოადგენს, მაგალითად, ჩვენი მოზარდი თაობის განათლების საქმე? რა არის მოსაწონი და ბუნებრივი იმ შრომაში, რომელსაც ჩვენი ახალგაზრდობა აძლევს ჯანსა და სინათლეს უბრალო სოფლის სასწავლებელში ყოფნის დროს? რა ნორმალობისა და ბუნებრიობის გამომხატველია მართლმსაჯულების წარმოება ჩვენში? რა აქვს შესაწყნარებელ საბუთად იმ მოვლენას, რომ მოსწავლე ინგილოს შეუძლია იშოვოს მთავრობის სტიპენდია მხოლოდ იმ პირობით, რომ სასწავლებელი აირჩიოს უსათუოდ სადმე გარეშე თავისი სამშობლოს საზღვრებისა? როცა მთელი ერის სიცოცხლის მიმდინარეობა არა ნორმალია, ცხადია, ვერც სარწმუნოებრივი საკითხის წარმოება იქნებოდა მთლად ნორმალი და ბუნებრივი; მისსიონერებსაც, როგორც ჩვენი დროის სასწავლებლებში გავლილ

თვითოეულ ქართველს, უსათუოდ ახასიათებდა სამშობლოს წარსულისა, მშობლიო ერის ზნე-ჩვეულებათა და ფსიქიკის ცოდნა-შეგნების სისუსტე და ამის გამოისობით მათი მოქმედება არ იქნებოდა წუნდაუდებელი. ამის თქმა და საჯაროდ აღიარება არც დამამცირებელია ვისიმე და არც სათაკილო. სათაკილოა და სამარცხვინო მხოლოდ ის გარემოება, რომ შესაძლო ყოფილა ჩვენში რუსი მისსიონერის დანიშვნა, მაგრამ ასეთი უღვთო აქტის ჩადენაც შედეგია ჩვენი საერთო ცხოვრების არა ნორმალობისა, იმისი, რომ ჩვენი ეკლესია დღეს გუმბათ ჩამონგრეულია, მას აღარა ჰყავს გულმტკივნეული მამა და პატრონი, ჩვენი ეკლესიის გვმას, ქართველ ერს, აღარ ახლავს სარწმუნოებრივი სიმკვრივე და დაუძინებელი დარაჯობა, რომ ვერავის შეეძლოს დაუსჯელად ჩვენს წმიდათა წმიდათაში უწმიდური ფეხის შედგმა. ასეთ სამწუხარო მოვლენაში მისსიონერობას არავითარი წილი არ უდევს, პირიქით, იგი, როგორც პრინციპი, შეურიგებელი მდევნელია ამგვარი ავაზაკობისა ეკლესიის ცხოვრებაში.

შეუწყნარებელი და სავსებით უარსაყოფია რ. ინგილოს მსჯელობა, ვითომც მისსიონერობის დაარსებას საინგილოში სათანადო ნაყოფის მოტანის მაგიერად საქმე წაეხდინოს და გაეუარესებინოს, ვითომც მისსიონერობის გამოისობით „საინგილოში ყველაფერი მიმართული იყო და არის დღესაც იმისკენ, რომ შუღლი დასთესონ ქრისტიანეთა და მაჰმადიანთა შორის.“ ასეთი დებულების უსაბუთობას და უნიადაგობას პირველ ყოვლისა ამტკიცებს თვით ბატონ რ. ინგილოს პიროვნება. რ. ინგილო რომ კაკელი, ესე იგი საინგილოს იმ ნაწილის შვილი არ იყოს, რომელშიაც ინგილონი ცხოვრობენ და მოქმედობენ მისსიონერთაგან შექმნილ ატმოსფეროში, რომ იგი დაბადებულიყო ალიაბათის სანაიბოში, სადაც მისსიონერობას არა გაურიგებია-რა და ხალხს წინამძღვრობენ მოლები და ეფენდები, ყოვლისავე ეჭვს გარეშე იგი უვიცი, ფანატიკოსობით მოცული უბრალო ინგილო იქნებოდა და არა ცოდნითა და განვითარებული პატრიოტული გრძნობით შემკული ქართველი. თუ ეს სინამდვილე არაა, მთელ სამაჰმადიანო საინგილოში ერთი მაგალითი მაინც გვიჩვენოს რ. ინგილომ ნასწავლი და საქართველოს მოყვარული ინგილოსი... რატომაა, რომ არა სამუსულმანო საინგილო, არამედ მარტო მისი სამისსიონერო რაიონი იძლევა ჯანაშვილებს, აბელაშვილებს, ხუციშვილებს, დარეჯანიშვილებს, ტარტარაშვილებს და სხვებს? არა, თუ რ. ინგილო მანდვილად ინგილოა, სულით ხორცამდე ზეცას უნდა უმადლოდეს საინგილოში მისსიონერობის არსებობას და საკუთარი პიროვნების მაგალითი უნდა უკარნახებდეს მას ამ დაწესებულებების ფრიად ღირებულობას ინგილოთა თვით შეგნებისათვის.

საინგილოში რომ მისსიონერობას სათანადო ნაყოფი არ მოეტანოს, ეს არც ერთ გაგებულ ინგილოს არ გამოუთქვამს ბეჭდვითი საშუალებით. პირიქით, განათლებული ინგილოების სიმპატია ყოველთვის მისსიონერობისაკენ

ყოფილა მიმართული. ინგილო იყო განსვენებული დიმიტრი ჯანაშვილი და იგი არამც თუ თანაუგრძნობდა მისსიონერობას, თვითონაც პირადათ სულით და გულით მისსიონერობდა თავის სამშობლოში; ინგილოა ბატონი მოსე ჯანაშვილი და თავის მრავალრიცხოვან ნაწერებში, სადაც კი შემთხვევა ეძლევა, ღრმა მოწიწებით იხსენებს მისსიონერობას. დარწმუნებული ვარ, გარემოებას რომ ხელი შეეწყო მისთვის, უსათუოდ მისსიონერობას ამჯობინებდა თავის მოძმეთა შორის თბილისში მასწავლებლობას. ჩვენში რომ შეგნება იყოს და საქმის დიადობის გათვალისწინება, ჩვენ რომ ინგლისელები და ამერიკელები ვიყოთ, არც დღეს მოვაცდენდით ხსენებულ პირს მშრალი ლუკმა პურის ფასის საშოვნელად აქეთ-იქით სირბილზე, უზრუნველვყოფდით მას საკმაო სასყიდლის დანიშვნით და სიბერის დროს მაინც გავგზავნიდით მას სამოციქულოდ მის მოძმეთა შორის. ინგილოა ბართლომე ხუციშვილი და აი როგორ მსჯელობს იგი ერთს თავის წერილში: „დიდხანს ინგილოები თათრების გავლენის ქვეშ იყვნენ, იმათგან მიიღეს სხვადასხვა ჩვეულება-ადათი. ინგილო თათარსავით თავის ქალს ჰყიდიდა, სასიძოს ართმევდა 200-400 მანეთს. მაგრამ გაქრისტიანების შემდეგ, როცა საინგილოში გაიხსნა ეკლესიები, დაარსეს სკოლა, საზოგადოებას ცოტაოდენად მაინც აეხილა თვალები. ბევრმა ზიზღით შეხედა თათრებისაგან შეთვისებულ ჩვეულებას (ხაზი ჩვენია). ეხლა მომეტებული ნაწილი ინგილოებისა არამც თუ არა ჰყიდიან თავიანთ შვილებს, არამედ გათხოვებაში მზითევსაც კი აყოლებენ. წელს, როცა კახის ახალგაზრდობა აპირებდა ობოლ ილარიონ პაპიაშვილისთვის წარმოდგენის გამართვას, ყველა სიამოვნებით შეეგება იმ რწმენით და იმედით, რომ რაც საინგილოს მეტი ეყოლება განათლებული, იმდენად უფრო მალე გამოფხიზლდება და წარმატების გზას დაადგება იგი. ჩვენი ხსნა როგორც ყველა ერისათვის, მხოლოდ განათლებაში იხატება...“ (საქართველო, 18 სექტემბერი, 1915 წელი. N95). ეს მოწმობა თავიდან ბოლომდე მისსიონერთა მოქმედების დროისაა საინგილოში და იგი იმდენად ცხადი და ნათელია თავისი შინაარსით, რომ აღარავითარ ალაგს არ უტოვებს ახსნა განმარტებას.

ქართული საზოგადოებისთვისაც და საინგილოს ყოფილი მისსიონრებისთვისაც მეტად ძვირფასია ცოდნა, რა აზრისანი არიან მისსიონერობაზე ამ ხელად საინგილოს სოფელში მოქმედი პირები, რომლებშიაც არა მცირედნი ურევიან მისსიონერთა მოწაფეთაგანნი. საინტერესოა, მაგალითად, ვიცოდეთ, რა შთაბეჭდილება დასტოვეს მისსიონერმა და მისმა ხელქვეითმა მასწავლებლებმა ნ. ყულიშვილმა და აპ. ივანიცკიმ ყორაღნისა და ალიბეგლოს სკოლების მოწაფეებში. სამწუხაროდ, ნ. ყულოშვილი, ეს პედაგოგად დაბადებული, ზნეობრივი უმწიკვლობისა და დაუღალავი შრომის განსახიერება, უდროვოდ გამოაკლო ინგილოთა პატიოსანი მუშაკების ისედაც პატარა გუნდს ულმობელმა სიკვდილმა და ამის

გამო შეუძლებელია მისგან საქმის ნამდვილი ვითარების ცოდნა. სამაგიეროდ ცოცხალია და კეთილად მოღვაწეობს განსვენებული ყულოშვილის ღირსეული ამხანაგი მღვდელი აპ. ივანიცკი. იმედია, ჩვეულებრივი სიმართლით და მიუდგომელობით გააცნობს საზოგადოებას როგორც იყო დაყენებული მის დროს ალიბეგლოელი ინგილოების შვილის აღზრდის საქმე მისსიონერებისგან და მოჰყვა რამე ამას სასიკეთო ალიბეგლოელთა ცხოვრებაში თუ არა?

ვფიქრობთ, არც კახის საქალებო სასწავლებლის პირველი კურსის ყოფილი მოსწავლეები და იმდროინდელი მათი სასიქადულო მასწავლებელი ქალი მარიამ მახარაძე. დღეს კნეინა სიდამონ-ერისთავისა, დაიზარებენ გაუზიარონ მკითხველ ქართველობას, მისცა რამე სასიკეთო მისსიონერმა საინგილოს ქალების მოზარდ თაობას ხსენებული სკოლის გახსნით, თუ უარესად გააუკუღმართა ქალთა მდგომარეობა საინგილოში.

ამ პირების მტკიცე სიტყვა საუკეთესო პასუხი იქნება ბატონ რ. ინგილოს წერილზე, რომელიც ჩრდილ ქვეშ აყენებს და მეტად თალხი ფერადებით ახასიათებს საინგილოში მისსიონერობას და მისსიონერთა მოქმედებას საერთოდ.

პეტრე კონჩუაშვილი, დიმიტრი ჯანაშვილი, არხიმანდრიტი ამბროსი კავკასიძე, ყოვლად სამღვდელო კირიონი, ყოვლად სამღვდელო დავითი, ევტიხი მამინაიშვილი - ყველანი მისსიონერები იყვნენ; ამგვარი მისსიონერებით ჩვენ თავი უნდა მოგვქონდეს, რ. ინგილოც და სხვებიც დღე და ღამ იმას უნდა ფიქრობდნენ, რომ ამგვარი მისსიონერები არ მოაკლდნენ ჩვენი ქვეყნის მივარდნილ კუთხეებს, ასეთი პირების ხმა არ ჩადგეს და არ შესწყდეს არასოდეს საინგილოში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, გუდამაყარ-ხევ-მთიულეთში, მესხეთ-ჯავახეთში, სვანეთში და აჭარა-ქობულეთში, რადგანაც, თუ რამე სასიკეთო გარიგებულა ყველა ამ კუთხეებში, გარიგებულა მხოლოდ და მხოლოდ მისსიონერების საშუალებით, რადგანაც ამ კუთხეებში ჯერ არც ერთ ქართულ ეროვნულ დაწესებულებას, არც ერთი ქართული ბეჭვდითი ორგანოს მაწარმოებელთაგანს ფეხი არ დაუდგამს და წკირი არ გადაუბრუნებია იქ მცხოვრებთა სასიკეთოდ და არც იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავლაში მაინც დაიწყონ მათ ნაჩვენებ რაიონებში მოქმედება.

რ. ინგილოს წერილი რომ ბალახმორეული ჯეჯილის მსგავსად გაიმარგლოს და გაიწმინდოს შეუფერებელი ნათელი ფაქტების საწინააღმდეგო აზრებისაგან, იგი, როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, დიახ მოსაწონი და სახეში მისაღებია. ხაზს ვავლებთ და სავსებით ვეთანხმებით ბატონ რ. ინგილოს სიტყვებს: „რიგიანი გადაწყვეტა საინგილოში სარწმუნოებრივი საკითხისა, უნდა შეადგენდეს ერთს უახლოვეს და უმთავრეს მიზანს ყოველ ქართველისათვის. ხალასი ჭეშმარიტებაა, ხოლო ესევე უნდა უმეტ-ნაკლებოდ ითქვას ახალციხე-ახალქალაქისა და აჭარა-ქობულეთის მკვიდრთა შესახებაც. შეგნებულობა არ ეთქმის იმ ქართველს, რომელიც ყველაზე უმთავრესად არ

ზრუნავს თავის მოძმე მაჰმადიან ქართველთა სარწმუნოებრივი ცხოვრების გააზრიანება-გაუმჯობესებისათვის. „სარწმუნოება სვინიდისის საქმეა და გარეშე პირი არ უნდა ერეოდეს სხვის სვინიდისის საქმეშიო," ხშირად ამოიკითხავთ ქართულ გაზეთებში და ამგვარად მოაზროვნეებს ის კი აღარ ახსენდებათ, რომ თუკი სადმე შემცდარ აზრებს მისდევენ, ყოველი გაგებული პირი მოვალეა მიეშველოს შემცდარებს და ჭეშმარიტება აცოდინოს, თუ სადმე ადამიანები სიბნელეში სხედან, ვისაც საშუალება აქვს, მოვალეა სანათი გააჩინოს და თუ სტუმარი გეწვია, ვალდებული ხარ პურ-მარილით გაუმასპინძლდე მას და სხვა. შეუძლიან, რასაკვირველია, ჭკუა დახშულებმა არ იწამონ ჭეშმარიტება, ბნელში მყოფებმა უარი განაცხადონ სინათლეზე, სტუმარმა პირიც არ დააკაროს მისდამი მირთმეულ პურ-მარილს, მაგრამ ჭეშმარიტების ქადაგება, გაჭირვებაში მყოფთა დახმარება და სტუმრის შეწყნარება მაინც ყველა პატიოსანი კაცის აუცილებელ ზნეობრივ ვალდებულებას შეადგენს.

თანაგრძნობისა და სრული მხარის დაჭერის ღირსია ბატონ რ. ინგილოს მოთხოვნილება საინგილოში ეროვნული სასწავლებლების დაარსებისა, მაგრამ ამასაც უნდა ორი არსებითი შენიშვნა გავუკეთოთ: პირველი ის, რომ მაჰმადიანები საერთოდ ფანატიკოსები არიან და ამიტომ მათ ისე არავინ არ სძულთ და ისე არავის არ გაურბიან, როგორც სარწმუნოებრივ ინდეფერენტებს, სარწმუნოების ღირებულების არმცნობლებს, ათეისტებს, ღვთის არსებობის უარისმყოფლებს. ამიტომ სკოლაც იმ შემთხვევაში გაიდგამს მათ შორის ფესვებს და იხეირებს, თუ მასწავლებლებად ეყოლებათ ან განათლებული მორწმუნე ქართველი მაჰმადიანები, რომლებიც, სამწუხაროდ, ძალიან იშვიათად მოიპოვებიან, ან ისევ განათლებული და უსათუოდ მორწმუნე ქრისტიანი ქართველი. სარწმუნოების არმქონე მოლიბერალე მასწავლებლები აფრთხობენ მუსულმანებს და ნიადაგს უკარგავენ მათში სკოლის არსებობას. მეორე ის, რომ პირველ ხანებში ქართველ მაჰმადიანებს არავითარი სასკოლო გადასახადი არ უნდა ეთხოვებოდეთ, ჩვენ კი ამ გარემოებას ყურადღებას არ ვაქცევთ, ყველა ხარჯებს სასწავლებლის შესანახად მაჰმადიანებს ვაკუთვნებთ და ამით ვაბრკოლებთ მათი განვითარების საქმეს. მაგალითები ბევრია. ავიღოთ თუგინდ ქობულეთი. დიდი ხანია ქობულეთელები თხოულობენ ქართული სასწავლებელი დაგვიარსეთო. ჩავიდა კიდევ ქობულეთში ამის თაობაზე ერთი ქართული საკულტურო-საგანმანათლებლოს აგენტი, შეაგროვა მცხოვრებლები, ებაასა მათ სასწავლებლის შესახებ და ბოლოს გამოუცხადა: „ააშენეთ ოთხი დიდი ზალა, მე რომ გეგმას გამოგიგზავნით იმის თანახმად, მოაწყეთ ოთახები, როგორც მე გიბრძანებთ, მოგვეცით პირობა, რომ უზრუნველ ჰყოფთ სასწავლებელს შეშით, სანათით, მოსამსახურით და მასწავლებელს ჩვენ გამოგიგზავნით ჩვენი ჯამაგირითო." „თუ კი მაგისი შეძლება გვქონოდა, თქვენც აღარ

შეგაწუხებდითო, უპასუხეს დაწესებულების დესპანს გულდაწყვეტილმა ქობულეთელმა და დღესაც მათი შვილები ნატრულობენ ქართული წერა-კითხვის შესწავლას.

ადგილობრივი კეთილი ქართველების მეცადინეობით საქმე ისე მოგვარდა, რომ ქობულეთის საბოქაულოს სოფლის სკოლებში შემოღებულ იქმნა ქართული ენის სწავლება. სავალალოდ, ქობულეთელები მაინც ვერ სარგებლობენ ასეთი ნებართვით. მათი „განმანათლებლები“ ბრძანებენ: „ქართული ენის მასწავლებლის ჯამაგირი მოწაფეებმა უნდა გადაიხადოს, მოიტანეთ ფული და მასწავლებელსაც მაშინ დავნიშნავთო.“ მოსწავლეების მშობლებს არც გააჩნიათ ფული და, რომც გააჩნდეთ, რაკი ჯერჯერობით არ ესმით დედა ენის მნიშვნელობა განვითარების საქმეში, არაფერს არ იძლევიან და ქართული ენის მასწავლებელიც არსადა სჩანს. საჭიროა დახმარება ჩვენი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრივ, საქმე დაუყოვნებლივ მიშველებას მოითხოვს ქართული საზოგადოებისაგან, რომ ნავსი გატყდეს და ერთხელ და სამუდამოდ დაკანონდეს ბათუმის ოლქის სკოლებში ქართული ენის სწავლება, ეხლავე უნდა გადიდოს ჯამაგირი და გაიგზავნოს ქობულეთში ქართული ენის კარგი მცოდნე მასწავლებელი. ვიზამთ ამას? ღმერთმა ქნას, რომ მტერი არ გაგვეხარებინოს, მაგრამ ვეჭვობ, ვეჭვობ იმიტომ რომ ამას მოუნდება რამდენიმე ათი თუმანი და ჩვენებური საზოგადო დაწესებულებები კი ამისთანა საქმეებისთვის ხუთი მანეთის გაღებაზედაც უარს ამბობენ ხოლმე. იმავე ქობულეთლებმა ერთი ქართული გაზეთის რედაქციას სთხოვეს ახლად გახსნილი სამკითხველოსთვის გაზეთის უფასოდ დათმობა და ცივი უარი მიიღეს!

ვაბოლოებ რა ამ შენიშვნებს ჩემი წრფელი და მტკიცე რწმენის გამოთქმით, რომ ქართული საერო გამოცემები მძიმე დანაშაულობას უშვებენ საინგილო-აჭარაში მისსიონერული მოქმედების წარმოების საწინააღმდეგო გამოსვლა პროპაგანდით, რომ მისსიონერები ამ კუთხეებში აუცილებლად საჭირონი არიან, ვკადნიერდები შემდეგი წინადადებით მივმართო მთელ ქართველობას!

VII

ქართული პრესა და საზოგადოება დიდს ფიქრსა და საგონებელში არიან ჩაბმულნი ქართველ მაჰმადიანთა შესახებ. პრესა და საზოგადოება ერთ ხმად აღიარებენ, რომ ქართველი მაჰმადიანების ხსნა სწავლა-განათლებაშიაო. კარგი და პატიოსანი! თუ ესეთი მზრუნველობა ჩვენს მოძმე მაჰმადიანებზე უბრალო ამჩატებისა და აპილპილების შედეგი არ არის, თუ მართლა საქმედ გვინდა ვაქციოთ ის, რასაც დღეს ვწერთ და გატაცებით ვლაპარაკობთ სამაჰმადიანო საქართველოს შესახებ, მოდი მთელი ქართველობიდან, რომლის რაოდენობა

ორ მილიონს მაინც უდრის, შევჯგუფდეთ ხუთასი კაცი, თვითოეულმა ჩვენგანმა ერთ-ერთს ქართულ საკულტურო-საგანმანათლებლო დაწესებულებას წარუდგინოს ხოლმე ყოველ წლივ ოც-ოცი მანეთი იმ დანიშნულებით, რომ შემდგარი თანხა მოხმარდეს ქართველ მაჰმადიანთა შვილების საშუალო სასწავლებლებში აღზრდას.

სანამ ქართლ-კახეთი და იმერეთი თავის წიაღზე, თავის მკერდზე, საკუთარ მიდამოზე და კალთებზე არ აღუზრდიან ქართველ მაჰმადიანობას ახალ თაობას, მანამ მაჰმადიანი ქართველები ვერ შესძლებენ ჩვენთან შემოერთებას თავიანთი სულითა და გულით, თავიანთი არსების ყველა ძარღვებით და სხეულის ნაწევრებით. მოზარდმა ქართველმა მაჰმადიანობამ უნდა განსაზღვრული დრო იტრიალოს ქართულ ქალაქებში და სოფლებში, ქართულ ოჯახებში, ქართულ ქორწილში და ტირილში, ქართულ კალო-გუთანზე და რთველში, რომ მთელი არსებით ეზიაროს ქართველობას. ამისთვის კი აუცილებელია მაჰმადიანთა შვილების ჩაბმა იმ პიტალო ქართველებში, რომლებსაც ყოველ წლობით დედაენაზე სწავლა-განათლების შეძენით შეგნებულ მუშაკებად ურაზმავენ სამშობლოს თბილისისა და ქუთაისის ქართული გიმნაზიები.

სარბიელი წინ გვიდევს და, თუ სიკეთის გარიგება გვსურს, ნუ მივიმალ-მოვიმალებით აქეთ იქით.

ჩემის მხრით განძრახული საქმისათვის წლიურ გადასახადს ახლავე ვაახლებ ქართულ საკულტურო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კავშირის დამაარსებელ წევრს ე. ს. ბ. თაყაიშვილს.

ეპისკოპოსი ლეონიდი.
1915 წ.